პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

15 ნოემბერი პარასკევი 1968

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 49-ე წელი • № 267 (14263)

საქა ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი — ცხოვრებაში!

საქა ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს პარტიულ ორგანიზაციებს, მშრომელთა დეპუტატების საბჭოებს, პროფკავშირებს, კომკავშირს ღრმად განუმარტონ ქალაქისა და სოფლის ყველა მშრომელს ცენტრალური კომიტეტის ამ პლენუმის გადაწყვეტილებანი, პარტიის პოლიტიკა და გეგმები სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში და დარაზმონ ისინი დასახული გეგმების წარმატებით განხორციელებისათვის.

საქა ცენტრალური კომიტეტის 1968 წლის 31 ოქტომბრის დადგენილებიდან.

სოფელი ლენინურ პასუხზე

ასე უპასუხებენ საქართველოს მშრომელები ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს

ᲨᲔᲠᲘᲗᲘ ᲜᲘᲠᲑᲐᲗᲔᲑᲘ

● **ზესტაფონელებმა** სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვის გეგმა და ვალდებულება სასახელოდ გაასაღეს, — აცნობეს „კომუნისტის“ რედაქციას საქართველოს კა ზესტაფონის რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. შ. ვერულაშვილმა, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. მ. სამხარაძემ, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ამხ. ს. გორდეზიანმა, — ღვინის ქარხნებს გადასამუშავებლად ჩაბარდა 21.400 ტონა ყურძენი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 17.176 ტონისა და ვალდებულებით ნაკისრი 19.200 ტონისა.

● **რესპუბლიკის** მეკარხლეობა შეჯიბრებაში შესანიშნავ შრომითს წარმატებას მიაღწიეს ხაშურის რაიონის სოფლის მშრომელებმა. 13 ნოემბრისათვის რაიონის მეურნეობებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 18.227 ტონა შაქრის ჭარხალი გეგმით გათვალისწინებული 18.200 ტონის ნაცვლად.

რაიონის მეკარხლეებმა ვალდებულება იკისრეს გეგმის გადამეტებით მისცენ სამშობლოს 10 ათასი ტონა შაქრის ჭარხალი. (საქდინი).

● საქართველოს კპ ახმეტის რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. ა. ბატიაშვილმა გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას აცნობა, რომ რაიონის მევენახეებმა პირობა გაანაღდეს. 14 ნოემბრისათვის გაშენდა 196 ჰექტარი ახალი ვენახები. ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 140 ჰექტარისა.

ვენახების გაშენება გრძელდება. ახმეტელთა პირობაა წელს სულ გააშენონ 350 ჰექტარი და წლიურ გეგმას 210 ჰექტარით გადაჭარბონ.

● **სოციალისტური** შეჯიბრების ფართოდ გაშლის შედეგად „საქსოფლტექნიკის“ ბახარაძის განყოფილებამ ნაკისრი ვალდებულება ეკიაზე ორი თვით ადრე გაანაღდა. ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 3.543 ათასი მანეთისა წარმოებისა და საკონსერვენის გეგმა შესრულებულია 3.570 ათასი მანეთით. მათ შორის წარმოების დარგში გამოშვებულია 392 ათასი მანეთის პროდუქცია ნაცვლად 374 ათასი მანეთისა, რეალიზებულია 3.170 ათასი მანეთის საქონელი ნაცვლად 3.169 ათასი მანეთისა.

გეგმის შესრულებასთან ერთად გაწეულია 8 ტონა სადიზელო საწვავის, 4,5 ტონა ბენზინის ეკონომია. 6 კაპიკით არის შემცირებული თვითეული პირობითი ჰექტარის დამუშავების თვითღირებულება. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით დაზოგილია 200 მანეთის ელექტროენერგია და 700 მანეთის სარემონტო მასალები. მოგების გეგმა შესრულებულია 130 პროცენტით.

კოლექტივმა ვალდებულება იკისრა წლიური გეგმის გადამეტებით გამოუშვას 50 ათასი მანეთის პროდუქცია, — ეს აცნობა „კომუნისტის“ რედაქციას „საქსოფლტექნიკის“ ბახარაძის განყოფილების მმართველმა შ. ჭანუყვაძემ.

მდიდარი ჰექტარები

ჩვენი სასოფლო-სამეურნეო არტელი რაიონში ახლა ერთ-ერთი მსხვილი კოლექტიური მეურნეობაა. მთავარი დარგებია მემინდვრეობა, მევენახეობა და მეცხოველეობა. ამ დარგებიდან დიდ შემოსავალს ვიღებთ.

გეგმის გადამეტებით მარცვლეულის ჩაბარებისათვის სახელმწიფო უფრო მეტ შემოსავალს გვაძლევს. საქა ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ, რომ გეგმის გადამეტებით ჩაბარებული მარცვლეულიდან მიღებული შემოსავლის ნაწილი შეიძლება გამოვიყენოთ სპეციალისტთა და მშრომელთა წახალისებლად. ეს მისასალმებელია. ახლა კოლმეურნეობაში მიმდინარეობს მზრალად ხვნა. მოვიმარაგეთ საკვები პირუტყვის სანიმუშოდ გამოზამთრებისათვის. ბოდბისხეველები ისე იმუშავებენ, რომ უფრო დაახვავონ სოფლის მეურნეობის პროდუქტები.

ვ. გელაშვილი,
სიღნაღის რაიონის ბოდბისხევის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

მექანიზატორთა წვლილი

ᲬᲔᲚᲘ უნდა მოგვეხნა 12.150 ჰექტარი რბილ ხვნაზე გადაყვანით. ფაქტიურად უკვე მოვხანით 20.260 ჰექტარზე მეტი. განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ ხარისხს.

კარგად შრომობენ ჩვენი მექანიზატორები. ომარ სულავამ 1.910 ჰექტარი დაამუშავა. ომარ მიმინოშვილმა გეგმა 169 პროცენტით გაანაღდა. გათვალისწინებული სამუშაოები ასევე გადამეტებით შეასრულეს მექანიზატორებმა შოთა ჯიჯეიშვილმა, პანტელეიმონ ღვანიამ და სხვებმა.

შ. გოკუჩავა,
„საქსოფლტექნიკის“ ბაშის განყოფილების მესამე სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელი.

ᲮᲐᲚᲮᲗᲐ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲨᲘᲗ

გენიჩესკელები მახარაძეში

მახარაძე, 18 ნოემბერი. (საკკორ.). აქ ჩამოვიდა უკრაინის სსრ ხერსონის ოლქის გენიჩესკის რაიონის მშრომელთა დელეგაცია. მახარაძელთა წარმომადგენლები — მახარაძის რაიკომის პირველი მდივანი ა. თოიძე, რაიაღმასკომის თავმჯდომარე ა. გოგბრონიძე, შრომის კოლმეურნეობის თავმჯდომარე მ. ორაგველიძე და სხვები სტუმრებს ბათუმში შეხვდნენ და ჩამოიყვანეს მახარაძეში. სოფელ ჯანიეთში 76 წლის ბრიგადირი შ. ლომჯარია გენიჩესკელებს ქართული პურ-მარილით გაუმასპინძლდა. დელეგაციის მეთაურმა გენიჩესკის რაიკომის პირველმა მდივანმა ნ. კუნიცამ განაცხადა: ჩვენ ბამოვიარეთ ათასობით კილომეტრი, რომ მოვსულიყავით აქ, ჩვენს ქართველ მეგობრებთან, გავცნობოდით მათს შრომით მიღწევებსა და მაღალ კულტურას. ჩვენი მხურვალე შეხვედრა ძვირფასი ნაყოფია ხალხთა ლენინური მეგობრობისა.

უკრაინის დელეგაციის შემადგენლობაში არიან სოფელ როვნოს კოლმეურნეობის თავმჯდომარე ი. მაზურიკი, კოლმეურნეობა „საქართველოს“ თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი ბ. ლეგუნოვი, გენიჩესკის ალკკ რაიკომის მდივანი ვლ. ბოიკო, სოფელ როვნოს კოლმეურნეობის მწველავი ვ. ბერკუში, კოლმეურნეობა „როდინას“ მეცხოველეობის ფერმის გამგე ე. ლავრენტიევა, გენიჩესკის საცდელი სადგურის დირექტორი ვლ. კრუტი და სხვები.

სტუმრებმა მეორე დღეს გვირგვინებით შეამკეს ვ. ი. ლენინის ძეგლი, რომელიც მახარაძის ცენტრშია აღმართული, გაეცნენ ქალაქის ღირსშესანიშნაობებს. დღის სამ საათზე სახელმწიფო თეატრში საზეიმო ვითარებაში მოეწყო გენიჩესკისა და მახარაძის რაიონების მშრომელთა შეჯიბრებისა და მეგობრობის 30 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საზეიმო სხდომა, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა მახარაძის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ა. გოგბრონიძემ.

ორი რაიონის მეგობრობისა და შეჯიბრების 30 წლის შედეგებზე მოხსენებით გამოვიდნენ საქართველოს კპ მახარაძის რაიკომის პირველი მდივანი ა. თოიძე და უკრაინის კპ გენიჩესკის რაიკომის პირველი მდივანი ნ. კუნიცა. სიტყვებით გამოვიდნენ: ჩაისა და ხუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის განყოფილების გამგე, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი ი. ჩხაიძე, ძიმითის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი ხ. მუხაშავრია და სხვ.

საიუბილეო საზეიმო სხდომამ მიიღო მიმართვა გენიჩესკისა და მახარაძის რაიონების მშრომელებისადმი. დასასრულ გაიმართა დიდი კონცერტი.

ბ. ჩხაიძე.

ᲑᲐᲠᲐᲫᲘᲜᲘ შემოდგომაა გაღის რაიონის კოხორის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობაში.

კოხორელი მეციტრუსეები (მეურნეობის დირექტორი გ. ჩაჩიბაია) 1.200 ტონა ციტრუსის ნაყოფისათვის იბრძვიან, გეგმა კი 800 ტონაა ითვალისწინებს. მათ უკვე 300 ტონაზე მეტი მანდარინი მოკრიფეს.

უხვ მოსავალს იღებენ აგროგანყოფილებები, რომელთა მმართველები არიან თ. ალავიძე, შ. კონსტანტინოვი, ქს. კვარაცხელია. მათი მტკიცე გადაწყვეტილებაა გეგმის ზევით მისცენ სამშობლოს 70-70 ტონა მანდარინის ნაყოფი.

სურათზე: კოხორის საბჭოთა მეურნეობის მუშა რ. ბასარია მანდარინის კრეფის დროს.

ფოტო ლ. შენგელიასი.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ ᲭᲐᲠᲗᲐᲜᲐ „ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐᲨᲘ“

ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐ, 13 ნოემბერი. საკდისის სპეციალური კორესპონდენტები გ. ვლასოვი და ვ. კუზნეცოვი გვატყობინებენ:

დღეს ხარისხული ფოლადის ქარხნის „ვარშავის“ მუშები გულითადად და გულთბილად, როგორც უძვირფასეს სტუმრებს შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციას სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით, რომელიც მონაწილეობს პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის V ყრილობის მუშაობაში. ქარხნის ჭიშკართან თავი მიიყარა მრავალმა ათასმა მუშამ. მათ ხელში ეჭირათ ვ. ი. ლენინის, ლ. ი. ბრეჟნევისა და ვ. გომულკას პორტრეტები, აგრეთვე ფიდრადოანი ტრანსპარანტები, რომლებზეც რუსულად იყო წარწერილი: „გაუმარჯოს აზხანაგ ბრეჟნევს!“, „მივესალმებით ძვირფას მეგობრებს!“, „დაე მტკიცდებოდეს და ვითარდებოდეს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა და სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა“. მოედანზე ისმის შეძახილები „ნეხ ჟიე!“, ქუხს „ვაშა“!. სტუმრებსა და მათს თანმხლებ პირებს ყვავილები მიართვეს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია, რომელსაც ახლავან პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრების კანდიდატი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ჰ. იარუზეშეზკი. და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ვარშავის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ი. კმიკა, პირველად მივიდა კომბინატის ფოლადსასხმელო საამქროში. შემდეგ სტუმრებმა დაათვალიერეს სამჭედლო-სატვიფრო საამქრო, ნახევარფაბრიკატების საგლინავი საამქრო და უზარმაზარი ბლუმინგი.

ფოლადსასხმელო საამქროს კოლექტივი სტუმრებსა და მათს თანმხლებ პირებს შეხვდა მუშურად: ქარხნის სირენებით. ლ. ი. ბრეჟნევი თვალს აღევნებს ფოლადის ღნობის პროცესებს. მას ახსნა-განმარტებას აძლევს კომბინატის დირექტორი სტანისლავ დეკერ. სკკპ დელეგაციის მეთაური ესაუბრა მუშას მიჩისლავ ჩარნის — ყოფილ პარტიზანს, რომელიც პრაქტიკაზე ყოფილა საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ ქარხანაში, ახლა კი მსხმელია. ლ. ი. ბრეჟნევმა მას ჯიმოკითხა, თუ როგორ მუშაობს, რა ხელფასი აქვს, როგორი ოჯახი ჰყავს.

მეორე საამქროში გაიმართა ასეთივე გულთბილი და გულითადი შეხვედრა მუშებთან. საამქროს უფროსმა, ჭაღარა მეტალურგმა ამხანაგმა კაპაშმა აზხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს უამბო კომბინატ „ვარშავისა“ და მოსკოვის ქარხანა „სერპ ი მოლოტის“ კოლექტივების თანამშრომლობის შესახებ, უწოდა უზარმაზარი აგრეგატები მარკით „დაშაფებულია სსრ კავშირში“.

ლ. ი. ბრეჟნევი დაინტერესა ტექნოლოგიურმა პროცესებმა. იგი დიდი ყურადღებით აკვირდებოდა გიგანტური საგლინავი დგანის მუშაობას.

კომბინატის დირექტორმა ს. დეტკომ სკკპ დელეგაციის მეთაურს უჩვენა უზარმაზარი ნახევარფაბრიკატები და ხუმრობით უთხრა: „ეს ჩვენი პოლონური რაკეტებია“.

„ფურცლის ცივი გლინვის საამქრო მორთულია. თეთრ-წითელი და წითელი ალმებით, ტრანსპარანტებითა და ლოზუნგებით: „ძმური მეგობრობა და ურთიერთდახმარება შეესაბამება პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა და სსრ კავშირის ხალხთა ინტერესებს“.

საამქროში აღუმართავთ იმპრეზიზებული ტრიბუნა, რომლის თავზე გაკრულია დიდი წითელი ტილო. ტილოზე ასახულია ორი ერთმანეთზე ფარფაფდიდი ღონიერი ხელი და წარწერილია სიტყვები: „პშიაზნ-მეგობრობა!“.

დიახ, საბჭოთა ხალხსა და პოლონელ ხალხს აკავშირებთ ურღვევი მეგობრობა, ძმობა და თანამშრომლობა. კომბინატის კოლექტივის მიტინგიც, რომელიც აქ გაიმართა, საბჭოთა სტუმრების შეხვედრაც ამ ქარხანაში კიდევ ერთხელ ადასტურებენ საბჭოთა კავშირ-პოლონეთის მეგობრობას, რომელიც სულ უფრო მტკიცდება.

გაისმის საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ჰიმნები. მიტინგი გახსნა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის სახალხო კომიტეტის პირველმა მდივანმა ბაზიმეშ ლუსმა. იგი მსურვალედ მიესალმა სკკპ დელეგაციას ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით და თქვა, რომ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა და სსრ კავშირის ხალხებს აკავშირებთ ურღვევი მეგობრობა, საერთო საარსებო ინტერესები, მიზნები და იდეები, ორივე მარქსისტულ-ლენინური პარტიის ძმური თანამშრომლობა. ჩვენი ეკონომიკის განვითარებაში საბჭოთა კავშირის ძმური დახმარების დადასტურებაა, თქვა კ. ლოსმა, კომბინატი „ვარშავაც“, სადაც დგას სსრ კავშირიდან მიღებული 10.500-ზე მეტი ტონა მანქანები და მოწყობილობა.

მუშები მჭუხარე ტაშით შეხვდნენ ლ. ი. ბრეჟნევს, როცა მან სიტყვა წარმოთქვა.

ლ. ი. ბრეჟნევმი საბჭოთა კომუნისტების, საბჭოების ქვეყნის მუშათა კლასისა და ყველა მშრომელთა სახელით მსურვალედ და ძმურად მიესალმა პოლონელ მუშებს და თქვა: ქარხანა „ვარშავა“ პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ნამდვილი სიმბოლოა. იგი პოლონელმა მუშებმა ააშენეს საბჭოთა კავშირის დახმარებით. აქ არის მექანიზმები და მოწყობილობა, რომლებიც დაამზადეს მოსკოვისა და ლენინგრადის, უკრაინისა და ბელორუსიის, ჩვენი ქვეყნის სხვა რესპუბლიკებისა და ქალაქების მშრომელებმა. ეს არის იმ მეგობრობისა და ძმობის ერთ-ერთი გამოვლინება, რომელიც ჩვენს ხალხებს აკავშირებს. ასეთი მეგობრობისა და თანამშრომლობის კარგი მაგალითია აგრეთვე თქვენი ქარხნის კოლექტივისა და მოსკოვის ქარხანა „სერპ ი მოლოტის“ — საბჭოთა კავშირის ფოფადსამსხმელო მრეწველობის ერთ-ერთი უძველესი საწარმოს — კოლექტივის ძმური კონტაქტები.

პოლონეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხები მჭიდრო ერთიანობითა და თანამიმეფეებით აშენებენ სოციალიზმსა და კომუნიზმს. ისინი ფარფოდ და ნაყოფიერად თანამშრომლობენ ცხოვრების ყველა დარგში.

სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის წარმატებანი თვითეულ ჩვენს ქვეყანაში და სოციალისტურ სახელმწიფოთა შეკავშირების, მათი მეგობრობის, მათი კავშირის, მათი თანამშრომლობის განმტკიცება, თქვა შემდეგ ლ. ი. ბრეჟნევმა, — ეი ის ორი ფაქტორი, რომლებიც უწინარეს ყოვლისა გაჯერნენს ახდენენ თანამედროვე მსოფლიოში განვითარების მიმდინარეობაზე. ამ ორ ფაქტორს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ექნება სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის ისტორიული დავის გადაწყვეტისათვის და, მაშასადამე, კაცობრიობის ბედის განსაზღვრისთვისაც მომავალ ათწლეულებსა და საუკუნეებშიც კი.

ამიტომ გასაგებია, თუ რა უდიდესი პასუხისმგებლობა ეკისრებათ სოციალისტური ქვეყნების მოქალაქეებს და განსაკუთრებით მათს ავანგარდს — კომუნისტურ და მუშათა პარტიებს, რომლებიც ჩვენს ქვეყნებს მიუძღვიან სოციალიზმის და კომუნიზმის გზით. ეს პასუხისმგებლობა გვავალებს ყოველი ღონე ვიხმაროთ, რათა წარმატებით ვაშენოთ ახალი საზოგადოება, განვამტკიცოთ ჩვენი მეგობრობა და სოლიდარობა, განვავრცელოთ სწორი პრინციპული პოლიტიკა.

ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ დიდ სიფხიზლეს, ჩვენი თავდაცვის, მათ შორის კოლექტიური თავდაცვის განუწყვეტელ განმტკიცებას, რომლის ყველაზე მძლავრი ინსტრუმენტია ჩვენი საწყლოვანი საბრძოლო კავშირი, ვარშავის სახელს რომ ატარებს, განაცხადა ლ. ი. ბრეჟნევმა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტია და სხვა მოკავშირე ქვეყნების ძმური პარტიები ყოველ ღონეს ხმარობენ და კვლავაც ყოველ ღონეს იხმარენ, რათა დღითიდღე მტკიცდებოდეს ჩვენი საბრძოლო კავშირი, რათა სხვისი მიწების დამპყრობლებმა მტკიცედ იცოდნენ, რომ პოლონეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის საზღვრები, ისევე როგორც ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ყოველი სხვა ქვეყნის საზღვრები ურყევნი და ხელშეუხებელნი, რომ ამ საზღვრებს იცავს ჩვენი სოციალისტური თანამეგობრობის მთელი ძალიერება.

სოციალიზმის გაერთიანებული ძალების ძლიერების წინაშე იმპერიალისტები სულ უფრო ხშირად მიმართავენ შემოვლითს გზებს, ცდილობენ იერიში მოიტანონ ფლანგებიდან და ზურგიდან, ცდილობენ გათიშონ ჩვენი ძალები, სუსტ ადგილებს ეძებენ სოციალიზმის ბანაკში. აქ უპირველეს ყოვლისა იყენებენ ისეთ მეთოდებს, როგორიც არის იდეოლოგიური შეტევა, მისწრაფება გააბრუონ ადამიანები ბურჟუაზიული იდეების მშამით, გააღვივონ კუთხური, ნაციონალისტური ტენდენციები, მისწრაფება შეასუსტონ სოციალისტური ქვეყნების ერთიანობა, ცდები შეძვრნენ მათს ეკონომიკაში, ცდები რევიზიონისტთა დახმარებით შეასუსტონ კომუნისტური პარტიები, ძირი გამოუთხარონ მათს ხელმძღვანელ როლს.

ამ ვერაგული და უსირცხვილო ხერხების მთელი კომპლექსი განსაკუთრებით ცხადად გამოვლინდა ჩვენს მოკავშირე სოციალისტურ ჩეხოსლოვაკიაში მომხდარი ამასწინანდელი ამბების დროს. ახლა, კაცმა რომ თქვას, იმპერიალისტები აღარც ფარავენ, თუ რა იმედებს ამყარებდნენ ამ ქვეყანაზე. მათი პრესა ახლა გულახდილად აღიარებს, თუ სასულიერო ბრრ რას მოელოდნენ ჩეხოსლოვაკიის ამბებისაგან. ჯერ, წერენ ისინი, — უნდა დამყარებულიყო დიპლომატიური ურთიერთობა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკასა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის, გაძლიერებულიყო ბონის გავლენა პრაღაზე კრედიტების საშუალებით და სხვა ზზით, შემდეგ მესუსტებულიყო ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის გავლენა, ჩეხოსლოვაკიაში სოციალიზმის ნაცვლად დამყარებულიყო რაღაც „სოციალური დემოკრატია კაპიტალისტური ელფფერით“, შემდეგ უნდა შეცვლილიყო რეკემები პოლონეთისა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში და დასავლეთგერმანელი იმპერიალისტებს „გაერთიანების“ საბაბით შეაეხთქათ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, მომხდარიყო ვარშავის ხელშეკრულების დენონსირება.

აი ნამდვილი გეგმები იმპერიალისტი მგლებისა, რომლებსაც თავი ბატკნებად მოაქვთ და თითქოს აწუხებთ „დემოკრატიის განვითარება“ სოციალისტურ ქვეყნებში. და ეს გეგმები შეიძლებოდა განხორციელებულიყო, როგორც მათ ეგონათ, საბჭოთა კავშირი გულხელდაკრეფილი რომ მჯდარიყო და შესაძლებლობა მიეცა, რომ ჩეხოსლოვაკიის ამბები თავისთავად განვითარებულიყო.

მაგრამ სსრ კავშირი და მისი მოკავშირეები გულხელდაკრეფილი კი არ ისხდნენ, არამედ დაეხმარნენ ჩეხოსლოვაკიის სოციალიზმის დაცვის საქმეში. იმპერიალისტთა იმედები ჩაიფუშა, ბოლო სოციალისტური ქვეყნების ინტერნაციონალურმა სოლიდარობამ კიდევ ერთხელ ცხადყო თავისი ძალა, თავისი მნიშვნელობა.

შემდეგ ლ. ი. ბრეჟნევმა კომბინატის მუშებს უამბო იმ წარმატებების შესახებ, რომლებიც საბჭოთა ხალხმა მოიპოვა კომუნიზმის გაშლილ მშენებლობაში. მან განაცხადა, რომ სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების მთელი საქმიანობა გამსჭვალულია ადამიანისათვის ზრუნვით. ამავე ზრუნვით არის გამსჭვალული პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის V ყრილობის მუშაობა.

დასასრულ ლ. ი. ბრეჟნევმა გულითადი მადლობა გადაიხადა სტუმართმოყვარეობისათვის, ძმური გრძნობებისათვის ჩვენი დელეგაციისადმი, საბჭოთა კავშირისა და მისი კომუნისტური პარტიისადმი, და ქარხანა „ვარშავის“ მუშებს, მთელ კოლექტივს, ყველა პოლონელ მშრომელს უსურვა ახალი წარმატებანი შრომაში უძველეს და მშვენიერ პოლონეთში სოციალიზმის გამარჯვებისათვის.

მიტინგის მონაწილეებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა, რომლის დროს მრავალგზის ისმოდა მჭუხარე ტაში და მოწონების შეძახილები.

სკკპ დელეგაციის სახელით ლ. ი. ბრეჟნევმა ქარხნის კოლექტივს გადასცა ვ. ი. ლენინის ბიუსტი. საბჭოთა ვიმპელი, რომელიც საბჭოთა რაკეტამ მთვარეზე მიიტანა, და სხვა სამახსოვრო საჩუქრები.

მიტინგის მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით იმღერეს ინტერნაციონალი.

შემდეგ გაიმართა ლ. ი. ბრეჟნევისა და სკკპ დელეგაციის წვეულების ამხანაგური შეხვედრა ქარხანა „ვარშავის“ პარტიულ-სამეურნეო აქტივთან.

ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ

„ᲖᲝᲜᲓ-6“-ᲛᲐ ᲨᲔᲛᲝᲣᲤᲠᲘᲜᲐ ᲛᲗᲕᲐᲠᲔᲡ

ᲑᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ ავტომატური კოსმოსური სადგურის „ზონდ-6“-ის ფრენა, რომელიც საბჭოთა კავშირში გაუშვეს 1968 წლის 10 ნოემბერს.

პროგრამის შესაბამისად 1968 წლის 12 ნოემბერს 8 საათსა და 41 წუთზე მოსკოვის დროით განხორციელდა სადგურის მოძრაობის ტრაექტორიის კორექცია. სივრცეში სადგურის ორიენტაციისა და საპროგრამო მობრუნებათა განხორციელების შემდეგ ჩაირთო ძრავი, რომელმაც გადასცა სადგურს საკორექციო იმპულსის საჭირო სიდიდე. მანევრის შედეგად სადგური გადავიდა ტრაექტორიაზე, რომელიც უზრუნველყოფს მთვარის შემოფრენას გათვალისწინებულ მანძილზე.

1968 წლის 14 ნოემბერს ავტომატურმა სადგურმა „ზონდ-6“-მა შემოუფრინა მთვარეს ზედაპირიდან მინიმალურ მანძილზე, რომელიც უდრის 2420 კილომეტრს.

სადგურის ფრენის დროს მთვარის რაიონში ეწყობოდა მთვარის ახლო კოსმოსური სივრცის ფიზიკური მაჩვენებლების მეცნიერული კვლევა.

სადგურთან მყარი რადიოკავშირია და იღებენ მეცნიერულ ინფორმაციას სადგურის დამსხმელი მოწყობილობიდან.

სადგური აპარატურა ნორმალურად მუშაობს, შიგნით წნევა და ტემპერატურა გათვალისწინებულ ფარგლებშია.

საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი განაგრძობს მიღებული ინფორმაციის დამუშავებას.

მიფრინავს „კოსმოს-253“

1968 წლის 13 ნოემბერს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-253“. თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას იმ პროგრამის შესაბამისად, რომელიც საკდისმა გამოაცხადა 1962 წლის 16 მარტს. თანამგზავრი გაყვანილია ორბიტაზე, რომლის პარამეტრებია:

მიმოქცევის დაწყებითი პერიოდი — 89,9 წუთი;

მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (აპოგეა) — 355 კილომეტრი;

მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (პერიგეა) — 206 კილომეტრი;

ორბიტის დახრილობა — 65,4 გრადუსი. გარდა სამეცნიერო აპარატურისა, თანამგზავრზე არის რადიოგადამცემი, რომელიც 19,995 მეგაჰერცი სიხშირით მუშაობს, რადიოსისტემა ორბიტის ელემენტების ზუსტად გაზომვისათვის, რადიოტელემეტრიული სისტემა, რომელიც დედამიწაზე გადმოსცემს მონაცემებს ხელსაწყოებისა და სამეცნიერო აპარატურის მუშაობის შესახებ. თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას.

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. დ. ვ. გელაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წლთან დაკავშირებთან, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კომისიის თავმჯდომარე ამხ. დიმიტრი ვასილეს-ძე გელაშვილი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაშაძე

თბილისი,
1968 წლის 14 ნოემბერი.

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ა. ლ. ვარდოშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წლთან დაკავშირებით, საქართველოს კომპარტიის თელავის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. ალექსანდრე ლევანის-ძე ვარდოშვილი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაშაძე

თბილისი,
1968 წლის 14 ნოემბერი.

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ნ. პ. ᲨᲝᲜᲘᲐᲡ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისთვის, დაბადების ორმოცდაათ წლთან დაკავშირებით, საქართველოს კომპარტიის ცხაკაიას რაიკომის პირველი მდივანი ამხ. ნოე პავლეს-ძე შონია დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაშაძე

თბილისი,
1968 წლის 14 ნოემბერი.

ვამრავლოთ ქვეყნის სიმდიდრე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასოფლო-სამეურნეო წარმოების მაღალი დონის მიღწევა შეიძლება მხოლოდ იმ გზით, თუ კოლმეურნეობებისა და სახელმწიფოს მეურნეობების წარმოებას, აგრეთვე იმ დარგებს, რომლებიც მას ემსახურებიან, შეეუქმნით მძლავრ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას.

საჭიროა კვლავაც აღვაცურვოთ სოფლის მეურნეობა თანამედროვე მანქანური ტექნიკით, დავაკმაყოფილოთ მისი მოთხოვნილებანი მინერალურ სასუქებსა და სხვა ქიმიურ საშუალებებზე, ფართო მასშტაბებით მოვაწყოთ სამელიორაციო სამუშაოები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1968 წლის ოქტომბრის პლენუმის დადგენილებიდან.

კლენუმის გადაწყვეტილებანი—მასებში!

ნაცადი მეთოდით

თელავის რაიონის პარტიული ორგანიზაციები ახორციელებენ ღონისძიებებს, რომ ღრმად განუმარტონ მშრომელებს ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შინაარსი და უდიდესი მნიშვნელობა.

მიეწყო პოლიტიკურ მომხსენებელთა, პოლიტინფორმატორთა და აგიტატორთა რაიონული თათბირი ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განმარტების საკითხებზე. ამავე მასალების შესწავლას მიეძღვნა სემინარები, რომლებიც გაიმართა ოცდაშვიდსავე აგიტკოლექტივში.

ამჟამად 1.000-ზე მეტი აგიტატორი და პოლიტინფორმატორი ყოველდღიურად განუმარტავს მშრომელებს ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს. ისინი მასებს ესაუბრებიან სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაციის, მიწების ქიმიზაციის, მელიორაციის, მეცნიერების უსწრეს მიღწევათა ფართოდ დანერგვის საკითხებზე.

ნაფარეულის საბჭოთა მეურნეობის პარტიულმა კომიტეტმა (მდივანი ჯ. გიორგელაშვილი) 12 ნოემბერს მოაწყო თემატური საღამო „სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი — ცხოვრებაში". ამ კარგად ორგანიზებულმა საღამომ საქმიან გითარებაში ჩაიარა.

საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილი პოლიტიკური განათლების კაბინეტებში, ბიბლიოთეკებში, კლუბებსა და კულტურის სახლებში მიეწყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის მასალების გამოფენები. ეს გამოფენები თანდათან ივსება დიაგრამებით, თვალსაჩინო მასალებით.

თვის მხრივ თვალსაჩინო მუშაობას ეწევიან საზოგადოება „ცოდნის" ადგილობრივი ძალები. „ცოდნის" ლექტორებმა უკვე წაიკითხეს 18 ლექცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებულ საკითხებზე.

ჩვენი რაიონის იდეოლოგიური დარგის მუშაკები აძლიერებენ მუშაობას, რომ უფრო აქტიურად დარაზონ მშრომელები პარტიის გადაწყვეტილებების შესრულებისათვის, განუმარტონ მათ ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს ლენინური საგარეო პოლიტიკა.

ნ. იანკარაშვილი,
საქართველოს კომპარტიის თელავის რაიკომის მდივანი.

ფთამაგონებელი საუბრები

ყვარელი. (საკ. კორ.). პარტიული ორგანიზაციების პროპაგანდისტულ, მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას ახალი შინაარსი მისცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებებმა.

აგიტატორები და პოლიტინფორმატორები ღრმად სწავლობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებას სოფლის მეურნეობის საკითხებზე პარტიის XXIII ყრილობის და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებათა შესრულების საკითხებზე. პარტიული ორგანიზაციები ამ მასალებს ესაუბრებიან საბჭოთა მეურნეობის მუშაკებს, ბიბლიოთეკებში, კლუბებსა და კულტურის სახლებში მოეწყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის მასალების გამოფენები. ეს გამოფენები თანდათან ივსება დიაგრამებით, თვალსაჩინო მასალებით.

ამ მასალებზე ესაუბრებიან ბაღანეთის, ალაზანდარის, ალაზანი-ბაკურიანის, ბაკურიანი-ბაკურიანის, ბაკურიანი-ბაკურიანის, ბაკური

საერთაშორისო ხელვეჯა

მსოფლიოს დეპეშათა საკვანძო ადგილებიდან

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ყრილობა

ვარშავა, 13 ნოემბერი. (საკ-დესის სპეც. კორ.). დღეს დილით ვარშავის კულტურისა და მეცნიერების სასახლეში მუშაობა განახლა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის V ყრილობამ. ყრილობაზე გრძელდება კამათი პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო, რომელიც გააკეთა ბოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ვ. გომულკამ.**

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცკ-ის პლენუმი

პრაღა, 14 ნოემბერი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა საგენტო იუწყება, რომ დღეს აქ გაიხსნა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცკ-ის პლენუმი. პლენუმის მუშაობაში მონაწილეობენ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცკ-ის წევრები და წევრობის კანდიდატები, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური საკონტროლო-სარევიზიო კომისიის წევრები. პლენუმზე სტუმრად ჩრიან კომუნისტები — მთავრობის წევრები და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები. პლენუმი გახსნა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცკ-ის პირველმა მდივანმა **ა. დუბჩეკმა.**

ბელგია

ნატო თათბიროს

ბრიუსელი, 14 ნოემბერი. (საკდესი). ბრიუსელში ნატოს შტაბ-ბინაში დღეს ერთმანეთს შეხვდნენ ამ ბლოკის 14 ქვეყნის (გარდა საფრანგეთისა) თავდაცვის მინისტრები. ისინი ჯერ გამართავენ სხდომას ატომური თავდაცვის საქმეთა კომიტეტის ფარგლებში (ეს კომიტეტი აერთიანებს ნატოს 12 ქვეყანას. მის შემადგენლობაში არ შედიან საფრანგეთი, ისლანდია და ლუქსემბურგი). მათ უნდა დამტკიცონ რეკომენდაციები, რომლებიც ატომური დაგეგმვის ჯგუფის უკანასკნელ სხდომაზე მიიღეს ბონში. როგორც ცნობილია, ამ ჯგუფმა გადაწყვიტა დაავალონ ინგლისსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას მოამზადონ ყოველსამხედროგეგმა მოხსენება „ალმოსავლეთთან კონფლიქტის შემთხვევაში“ ტაქტიკური ატომური იარაღის გამოყენების საკითხზე. ამით კიდევ ერთი ნაბიჯი გადაიდგა იმ გზაზე, რომ დაკმაყოფილონ ბონის პრეტენზიები, რომელიც ნატოს ერთ-ერთი „უფროსი პარტნიორის“ როლს ჩეშლოს.

შემდეგ თავდაცვის დაგეგმვის კომიტეტის ფარგლებში ნატოს 14 ქვეყნის მინისტრები უოდრესად საიდუმლო ვითარებაში განიხილავენ თანამედროვე პოლიტიკურ და სამხედრო მდგომარეობას ამ აგრესიული ბლოკის სამხედრო პოტენციალის შემდგომი გადიდების თვალსაზრისით.

მინისტრები განაგრძობენ ნატოსა და მისი ცალკეული ქვეყნების შეიარაღებული ძალების 1969-73 წლების გეგმების შესწავლას.

იორდანია

ტანკები მშვიდობიან მცხოვრებთა წინააღმდეგ

ამანი, 13 ნოემბერი. (საკდესი). ისრაელ ოკუპანტთა ტერორი იორდანიის დასავლეთ რაიონების მოსახლეობის წინააღმდეგ მოწმობს, რომ ისრაელი ამჟამად ცდილობს თავს მოახვიოს მათ „ახალი წესწყობილება“. როგორც გაზეთი „ად-დუსტური“ წერს, ქალაქ იერიხონის 40-ზე მეტი მცხოვრები, რომელთა შორის 15 მოსწავლეა, დაატყვევეს ისრაელის სამხედრო ხელისუფლებამ. დაპატიმრების მიზეზი გახდა ის, რომ ქალაქის არან ხელისუფალთა წარმომადგენლებმა უარი თქვეს ბოდიში მოიხადათ ისრაელის სამხედრო გუბერნატორის წინაშე ლიმონსტრაციისათვის, რომელიც რამდენიმე დღის წინათ გაიმართა იერიხონში.

დემონსტრანტები პროტესტს გამოთქვამდნენ იმის წინააღმდეგ, რომ ისრაელი განაგრძობს არაბულ ტერიტორიათა ოკუპაციას.

ისრაელის ხელისუფალთა რეპრესიების პასუხად ქალაქის მუნიციპალიტეტის წევრებმა სამხედრო გუბერნატორს გაუგზავნეს პეტიცია, რომელშიც მოითხოვს დაუყოვნებლივ გაეთავისუფლებინათ დაპატიმრებულნი. მაგრამ უარი მიიღეს. რის გამოც მუნიციპალიტეტის მთელი შემადგენლობა გადადგა.

იერიხონიდან ჩამოსულთა ნაამბობით, „არეულობის“ შიშით ისრაელებმა ჯარების ალყა შემოარტყეს ქალაქს. ქუჩებში გამოჩნდნენ მოტორიზებული პატრულები, ქალაქისაკენ მიმავალ ყველა გზაზე დგანან ტანკები. მოსახლეობამ მტკიცე წინააღმდეგობა გაუწია ისრაელის სამხედრო გუბერნატორის ცდას დაენიშნა მუნიციპალიტეტის ახალი შემადგენლობა.

ინდოეთი

ნერუს სახელობის პრემიები

დელი, 13 ნოემბერი. (საკდესი). ინდოეთში გამომავალი საბჭოთა ჟურნალის „სტრანა სოვეტოვის“ მიერ დაწესებული ნერუს სახელობის პრემიების მინიჭების კომიტეტმა გამოაცხადა 1968 წლის პრემიების ლაურეატები. დაჯილდოებულთა შორის არიან ცნობილი ინდოელი მწერლები **ვრინდავან ლალ ვერმა, ბიმალ ჩანდრა გოში, სარდარ მოჰან სინგი, ბასავარაჯა კატიმანი, ჟურნალისტები ჯაია თაკორი, გურათ ჯაიდერი, დარშან სინგი** და სხვები.

ნერუს სახელობის პრემიები ყოველწლიურად გადაეცემათ ინდოელ მწერლებსა და ჟურნალისტებს მთელი მსოფლიოს მშვიდობის გამტკიცებისა და საბჭოთა კავშირ-ინდოეთის მეგობრობის თემისადმი მიძღვნილი მნიშვნელოვანი ნაწარმოებებისათვის.

სამხრეთ ვიეტნამი

პატრიოტთა იერიშები

პანოი, 14 ნოემბერი. (საკდესი). სამხრეთ ვიეტნამის სახალხო შეიარაღებული ძალების მებრძოლებმა, რომლებიც ტაინინის, თხუზაუმოტის, კენფორგის, კანთოსა და რატზის პროვინციებში მოქმედებენ მოწინააღმდეგის 780-ზე მეტი ჯარისკაცი გამოიყვანეს მწყობრიდან ამა თვის პირველი რვა დღის განმავლობაში. გარდა ამისა, პატრიოტებმა ჩამოგდეს მტრის 31 თვითმფრინავი და ვერტმფრინავი და ჩაძირეს ან ცეცხლი წაუკიდეს 8 სამხედრო გემს. ამას იუწყება ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო, რომელიც იმოწმებს განთავისუფლების სააგენტოს.

ამერიკის შეერთებული შტატები

გენერალური ასამბლეის სესია

ნიუ-იორკი, 14 ნოემბერი. (საკდესი). გაშინ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა კვლავ იხილავდა საკითხს, რომ აღადგინონ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერი უფლებანი გაერთიანებულ ერების ორგანიზაციაში.

სსრ კავშირის წარმომადგენელმა ი. ა. მალიკმა განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირი მუდამ მოითხოვდა და მოითხოვს დაუყოვნებლივ აღადგინონ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერი უფლებანი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, გააძევონ ამ ორგანიზაციიდან და ყველა მისი ორგანოდან წარმომაღგენელი ჩანკაიშეკთა ხროვისა, რომელიც არავის არ წარმოადგენს. ასევე გადაჭრით წინააღმდეგი ვართ ჩინელი ხალხისაგან მტრული ერთეულწოდებული „ორი ჩინეთის“ კონცეფციისა.

ის ფაქტი, რომ ჩინეთი — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ერთ-ერთი დამამარსებელი, უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი — მოკავშირეთა შესაძლებლობას იკავებს ამ საერთაშორისო ორგანიზაციაში ადგილი, რომელიც სამართლიანად და წესდების მიხედვით ეკუთვნის, არა მარტო აღმაშფოთებელი უსამართლობაა ჩინელი ხალხის მიმართ, არამედ აგრეთვე ძირს უთხრის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უნივერსალობის პრინციპს, აღნიშნა შემდეგ ი. ა. მალიკმა.

საბჭოთა კავშირს მუდამ საჭიროდ მიაჩნდა და ახლაც მიაჩნია, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია გახდეს ნამდვილი უნივერსალური საერთაშორისო ორგანიზაცია. სწორედ ამიტომ საბჭოთა კავშირი მოითხოვს აგრეთვე რაც შეიძლება სწრაფად გადაიჭრას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მიღების საკითხი. ჩვენ არაფერი გვაქვს არც იმის საწინააღმდეგო, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ამავე დროს მიიღონ მეორე გერმანული სახელმწიფო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა.

სსრ კავშირის წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერ უფლებათა აღდგენის საკითხის გადაჭრის მთავარი მოწინააღმდეგეა დასავლეთის სახელმწიფოთა ჯგუფი, და უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებული შტატები. ამ საკითხში მათ უკვითად პოზიცია, რომელიც ეწინააღმდეგება საყ ერებას. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებასა და საერთაშორისო სამართლის ელემენტარული ნორმების დარღვევაა. ყველასათვის ცხადია, თუ რა დიდ ზიანს აყენებს ასეთი პოზიცია საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებისა და დაცვის საქმეს.

საბჭოთა დელეგაცია მხარს უჭერს და ხმას მისცემს თანაავტორთა ჯგუფის მიერ შემოტანილი რეზოლუციის პროექტს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერ უფლებათა დაუყოვნებლივ აღდგენის შესახებ.

საფრანგეთის წარმომადგენელმაც განაცხადა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას არ შეუძლია უგულებელყოფდეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერ უფლებებს.



ასეთი პოზიცია საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებისა და დაცვის საქმეს.

საბჭოთა დელეგაცია მხარს უჭერს და ხმას მისცემს თანაავტორთა ჯგუფის მიერ შემოტანილი რეზოლუციის პროექტს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერ უფლებათა დაუყოვნებლივ აღდგენის შესახებ.

საფრანგეთის წარმომადგენელმაც განაცხადა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას არ შეუძლია უგულებელყოფდეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერ უფლებებს.

ფარსი დამთავრდა

ვაშინგტონი, 14 ნოემბერი. (საკდესი). აქ გამოცხადდა, რომ აღდგა ამერიკის შეერთებული შტატებისა და პანამის დიპლომატიური ურთიერთობა. ამრიგად ვაშინგტონმა ოფიციალურად ცნო სამხედრო ხუნტა, რომელიც ჩაუდგა ხელისუფლებას სათავეში და რომელმაც ერთი თვის წინათ ჩამოაგდო პანამის პრეზიდენტი არიასის კონსტიტუციური მთავრობა, ამერიკის შეერთებული შტატები თავის გადაწყვეტილებას ოფიციალურად ხსნიან იმით, რომ სამხედრო ხუნტამ საჯაროდ გამოაცხადა თავისი განზრახვა „მოაწყოს არჩევნები, აღადგინოს კონსტიტუციური მართვა-გამგეობა, პატივი სცეს ადამიანის უფლებებსა და დაიცვას პანამის საერთაშორისო ვალდებულებანი“.

პერიოდში, როცა არ გადაჭრილა პანამის არხის და მისი ზონის სტატუსის გადასინჯვის საკითხი, როცა პანამელი ხალხი სულ უფრო გადაჭრით მოითხოვს პანამის ტერიტორიაზე ამერიკის შეერთებული შტატების უკონტროლო პატაპანის შეწყვეტას, ვაშინგტონს აქ სჭირდება „ძლიერი ხელი“, რომელიც თავს გაართმევს მოვლენებს, თუ ისინი მათთვის არასასურველ ხასიათს მიიღებენ, ხოლო ამ ამოცანის შესრულება იმაზე უკეთ არავის შეუძლია, ვიდრე პენტაგონის „მეოთხე ძალა“.

სწორედ ამიტომაა, რომ ვაშინგტონმა, რომელიც ფორისეულურად ქადაგებს „დემოკრატიულ“ მართვა-გამგეობის პრინციპებს „სიწმინდეს“, გადატრიალებისთანავე ზურგი შეაქცია პანამის კანონიერად არჩეულ პრეზიდენტს.

ინგლისი

დეფიციტი იზრდება

ლონდონი, 13 ნოემბერი. (საკდესი). ინგლისის სავაჭრო ბალანსის დეფიციტი მიმდინარე წლის ოქტომბერში ერთიორად გაიზარდა სექტემბერთან შედარებით და 66 მილიონ გირვანქა სტერლინგს მიაღწია. ინგლისის ექსპორტი შეადგინა 18 მილიონი გირვანქა სტერლინგით, მაშინ როცა იმპორტი გაიზარდა 13 მილიონ გირვანქით.

ეს იმას მოწმობს, რომ ნაადრევი აღმოჩნდა ინგლისის მთავრობის ოპტიმისტური განცხადებანი ვაჭრობაში მდგომარეობის რადიკალური გამოსწორების შესახებ.

საქმე გაკეთებულია. ახლა, როდესაც იგი უკვლინ ონასისი გახდა, მას შეუძლია სრული და კანონიერი კმაყოფილებით მიმოხედოს ირგვლივ და დატკბეს ყველაფრით, რაც მისი საკუთრება გახდა, ვილა, სადაც იგი ცხოვრობს, შეფასებულია 7 მილიარდ ლირად, შესაძლოა მთელი 5 მილიარდით მეტ ფასადაც. მას მდიდრული საცხოვრებელი სახლები აქვს კიდევ ხუთ ქალაქში — ნიუ-იორკში, პარიზში, მონტევიდეოში, ბუენოს-აირესსა და ლონდონში. მას შეუძლია დედამიწის ირგვლივ მოგზაურობა მოაწყოს საკუთარი იახტით — მცურავი სასახლით, სადაც არის ბარმარილოთი და ოქროთი ნაკეთები აბაზანები, პორფირის კიბეები, მიდროთვითმფრინავი, ლალი ქვისაგან ნაკეთები ბუხარი, რომლის კვადრატული დიუმი 3 გირვანქა სტერლინგი ღირს, ელ-გრეკოს ორი და ვან-გოგის ტილოები სასადილო ოთახში, აუზი, რომელიც ლილაკის დაჭერით საცეკვაო მოედნად იქცევა, 2 მილიარდი ლირის საოჯახო მოწყობილობა და ავეჯი, 45 მეზღვაურისაგან შემდგარი ეკიპაჟი.

კუნძული, სადაც ქორწილი გაიმართა, მისი მეუღლის საკუთრებაა. ეს არის რამდენიმე კვადრატული კილომეტრი ამქვეყნიური სამოთხე, და ახლა მის განკარგულებაშია ზურმუხტოვანი მცენარეულობა და ლურჯი ზღვა, წარფენები და ბაღები, ზღაპრული ვილა და განცალკევებული ბუნგალოები ტუმარ მილიარდერთათვის; მთელი პარკი მხოლოდ ორი ბავშვის — მისი შვილების განკარგულებაშია. მას შეუძლია 800 მილიარდი ლირის ღირებულების უდიდესი ქონების იმედი ჰქონდეს, — მისი ქმარი ნახევარი საბერძნეთის პატრონია, და მისი სახელი აღნიშნულია სანავიგაციო რეგისტრებში საფრანგეთის გვერდით, იგი მფლობელია ნავთობგადამშუშავებელი და ალუმინის ქარხნებისა, გემთსაშენისა, უდიდესი ფლოტისა, საავიაციო კომპანიისა (მისი ქმრის საკუთრებაა გიგანტური თვითმფრინავი „ბოინგიც“, 90 მგზავრისათვის; ეს თვითმფრინავი, რომელმაც უაკლინი, როგორც სულთნის ცოლი, საბერძნეთის მიწაზე ჩამოიყვანა, მის განკარგულებაშია), ვერტმფრინავების მთელი ესკადრილიისა, ათასობით ჰექტარი მიწისა, რომლებიც გაბნეულია მთელ საბერძნეთში, კაზინო „პალეიონისა“ კორფუზე და სხვ.

მას შეუძლია ჰქონდეს ყველაფერი, რასაც კი მოისურვებს, და დაიკმაყოფილოს ყველა ამბიციური სურვილი. შარშან ზაფხულში, როდესაც იგი იახტა „კრისტინაზე“ სტუმრად მოეყოფილიყო, ონასისმა მიდროთვითმფრინავე ჩრდილოეთში გაგზავნა მხოლოდ იმიტომ, რომ უაკლინმა ახალი სალათა ინატრა.

იგი საჩუქრად იღებს ზღაპრულ სამკაულებს, გასაოცარ ზურმუხტს დიადემებს, ლალის ბრჭყვიალა სამაჯურებს, სამშვინისებს, რამდენიმე მილიარდი ლირა რომ ღირს, ხოლო თუ ბავშვების გართობა სურს, ონასისს წარგზავნილი დაუოყენებლივ დაადგება ხოლმე გზას და მალე სათამაშოებით დატვირთული ბრუნდება. საბერძნეთის მთავრობის კორეტი და გემთმფლობელის კატარღები იცავდნენ მის ქორწილს არასასურველი მეთვალყურეებისაგან, თითქოს ეს სახელმწიფო საქმე ყოფილიყოს. ონასისმა განკარგულება გასცა, რათა ჟურნალისტებისათვის ეთქვათ: „წაეთრიეთ, თორემ ყველას ზღვაში ჩაგყრიან“. მისი ქმარი ნაბობია, რომელსაც უყვარს ისეთი ცხოვრება, როგორც ნაბობს. ეს არის კაცი, რომელთანაც სტუმრობას „დიდ პატივად“ თვლიან მილიარდერები, პრინცები, პოლიტიკანები და გარკვეული მიმართულების პოლიტიკოსები.

მაგრამ, მიუხედავად სიმდიდრის მთელი ამ მბრწყინავი ნაკადისა, რომელმაც იგი შთანთქა, წარმოუდგენელი ფუფუნებისა, ზღაპრული მშვენიერებისა, მდიდრული დღესასწაულებისა, ეს ზღაპარი ფრთაშეკვეცილია, არ ძალუძს მიწიდან აფრენა. ამ ბრწყინვალებასა და თვალსისმომჭრელ მშვენიერებას სიცივე დაჰკრავს, ჩრდილი ადგება, და 1968 წლის ეს ზღაპარი გასაოცრად გვაგონებს ბინდფერ გარიგებას. და სწორედ ამან შეუშალა ხელი გაზეთებს, მათ შორის კეთილმოსურნე და ეგზალტაციისადმი მიდრეკილების მქონე გაზეთებსაც კი, რომ ამ ამბის გამო ხმაური აეტეხათ. პირიქით, მათ სასტიკი დარტყმა მიიღეს, შეძლეს ითქვას სამარცხვინო დარტყმა. მეტად მწვავე იყო კომენტარები, რომლებიც გააკეთეს გუ-ლუბრკვილო ბოსტონელი დიასახლისებიდან დაწყებული და ხომალდ „პოლონ-7“ ასტრონავტებით დამთავრებული, გაზეთებმა — „ვაშინგტონ პოსტიდან“ „მონდამდე“ და „ფრანს-სუარამდე“ და ყველა ჩვენს გაზეთამდე, მათ შორის ყველაზე ოფიციალურებმაც და ბურჟუაზიულებმაც.

არავინ არ დაეჭვერა, რომ ეს იყო სიყვარული პირველი შეხედვისთანავე, არავინ ამტკიცებდა, რომ ეს იყო სიყვარული. პირიქით, როდესაც ლაპარაკია ასეთ ადამიანებზე, წერდა ერთ-ერთი გაზეთი, ენახე ძალაუნებურად გადგება ინგლისელი არისტოკრატის სიტყვები: „სტენლები კი არ ქორწინდებიან, არამედ საქმიან ჯავშირს ამყარებენ“. არავის სწამს, რომ ეს იყო მარტოობით გამოწვეული შიშის შედეგი. მითი მედიდური და თითქმის უჩვეულო „რომაული სიმტკიცის“ მქონე ქალის, ამერიკის „პირველი ქვრივის“ შესახებ, მითი ამ სულიერი სიმბოლოს შესახებ, რომელსაც სისხლით სამარადისოდ განმტკიცებული მემკვიდრეობა აბარია, მითი სამაგალითო პირველი ლედის შესახებ, რომელიც ყოველთვის უნაკლო იყო და რომლის ღიმილი და ქცევა სავსებით შეესაბამებოდა მკაცრ სახელმწიფო ოქმს, ქარწყლდება და იფანტება, და ჩვენს წინ დგება, შეიძლება ითქვას, უფრო ჭეშმარიტი და უფრო მართალი სახე.

ამრიგად, ასპარეზზე გამოდის მალალი საზოგადოების ჭეკი, მოდების სამყაროს ჭეკი, და შესაძლოა, ნამდვილი ჭეკი. მისი ნაქები ელეგანტურობა, ნატიფი იერი უწვრილმანეს დეტალებამდე გულდასმით არის მოფიქრებული სახელგანთქმული და ძვირადღირებული ვალენტინოს, პრინცესების მოდის ამ განუმეორებელი ოსტატის მიერ. მისი ჩვეულები და თავდაჭერა იმ ქვეყნის ცხოვრების შედეგია, სადაც მილიარდების ბაერით სუნთქავენ, ეს არის ფუფუნების ატმოსფეროში ცხოვრების შედეგი იმ ადამიანთა ვიწრო წრეში ცხოვრების შედეგი, „რომლებსაც ყველაფერი აქვთ, შეუძლიათ ყველაფრის ნება მისცენ თავიანთ თავს, და ყველანი ამას ანსოლუტურად ბუნებრივად თვლიან“.

გაკვრა მითი კავარსხლბენეზე ალზეებული იმ ქალის შესახებ, რომელიც ადამიანების თანდასწრებით არ ტირის — მხოლოდ საწყალ მდაბიო ქალებს შეუძლიათ ყველას თვალწინ ტირილი, — იმ ქალის შესახებ, რომელიც მწუხარებისა და გამოწვევის ნიშნად ატარებს თავის ვარდისფერ კოსტიუმს, სიხსნელით რომ არის მოსვრილი. და აი ეს ქალი ყველას

უცხოეთის კრესის ფურცლებზე

• „ვიე ნუოვე“, იტალია

„ევრიელის ქორწინება“

ასეთი სათაურით იტალიურმა ჟურნალმა „ვიე ნუოვემ“ გამოაქვეყნა მარია კალდერონის სტატია, რომელიც მიძღვნილია უაკლინ კენედისა და ონასისის ქორწინებისადმი.

ქვემოთ გვეგზავნეთ სტატიას მცირეოდენი შემოკლებით.

მეგობრული ვიზიტი

14 ნოემბერს მოსკოვიდან ბუდაპეშტს გაფრინდა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო. იგი უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში მეგობრული ვიზიტით გაემგზავრა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის იანოშ პეტრის მიწვევით.

ამავე თვითმფრინავით ბუდაპეშტს გაემგზავრა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი საბჭოთა კავშირში იშტვან სიპკა. (საკდესი).

ფოტოინფორმაცია

დღეს სოციალისტურ ქვეყნებში



უნგრეთი •

ყველაზე მალალი საცხოვრებელი სახლი უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში აიგება დებრეცენში. 24-სართულიანი ცათამბჯენი დაამშვენებს ქალაქს, სადაც ძირითადად 5-6-სართულიანი სახლებია. პირველ სართულზე მოთავსდება მაღაზიები, რესტორანი, კინოთეატრი.

სურათზე: საპროექტო ბიუროს მუშაკი იმრე კატონა სახლის მაკეტთან.

ფოტო **მტი-ხაკდესისა.**

ბულგარეთი •

სახალხო ხელისუფლების წლებში ბულგარეთში კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით შეიქმნა მძლავრი მრეწველობა, ძირეულად გარდაიქმნა სოფელდ, მიღწეულია მნიშვნელოვანი წარმატებები ხალხის კეთილდღეობის ამაღლების საქმეში, ფართოდ არის გაშლილი სხვადასხვა დანიშნულების ობიექტების მშენებლობა.

სურათზე: ახალი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა სოფიაში „ივან ვაზოვის“ კვარტალში.

ფოტო **ბტა-ახალი ამბების სააგენტოსი.**

ბ ო ლ ო ფ ფ ა ქ ტ ე ბ ი

□ **ლონდონი,** 14 ნოემბერი. (საკდესი). საბერძნეთის პოლიტიკურ პატიმართა მასობრივი წამების შესახებ ილაპარაკა გუშინ პრეს-კონფერენციაზე ინგლისის პარლამენტის წევრმა ლეიბორისტმა დერეკ პეიჯმა, რომელიც საბერძნეთში მოგზაურობდან დაბრუნდა. „არასოდეს არ მინახავს ქვეყანა, სადაც კაცს ასე ეშინოდეს ხელისუფალთა ფიზიკური ძალადობისა“, — განაცხადა მან. პეიჯმა აღნიშნა, უდავო დამამტკიცებელი საბუთები მაქვს, რომ სამხედრო ხუნტის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს აწამებენო.

□ **პარიზი,** 14 ნოემბერი. (საკდესი). მუნიციპალური საბჭოს დამატებითს არჩევნებში, რომელიც დაბა ეიერეწში (ალრეზის დეპარტამენტი) მიმდინარეობდა, გამარჯვება კომუნისტმა. არჩევნებმა ცხადყო, რომ ამ რაიონში განუხრელად იზრდება საფრანგეთის კომპარტიის გავლენა.

კომუნისტმა კანდიდატმა ახლა მიიღო 184 ხმა, მაშინ როცა 1967 წლის მარტში კომუნისტს ხმა მისცა 131 კაცმა, ხოლო 1968 წლის ივნისში — 138 კაცმა.

ზაკეროს ბანაკიდან

ბ ა ტ ა ნ ი ს ბ ა ნ ა კ ი

ბ ა ტ ა ნ ი ს ბ ა ნ ა კ ი

ბ ა ტ ა ნ ი ს ბ ა ნ ა კ ი

ბ ა ტ ა ნ ი ს ბ ა ნ ა კ ი

ბ ა ტ ა ნ ი ს ბ ა ნ ა კ ი

კომუნისტი

მე-3 გვერდი, პარასკევი, 15 ნოემბერი, 1968 წ.

გულთბილი შეხვედრები

„მარადიული მეგობრობა“, „ურღვევი ძმობა“ — ეს სიტყვები გაისმოდა ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საყოველთაო-სახალხო კომიტეტის დელეგაციის ყველა შეხვედრაზე საქართველოს საზოგადოებრიობასთან. დელეგაცია, რომელშიც შედიოდნენ ბულგარეთის კომუნისტური პარტიის სლივენის საოლქო კომიტეტის მდივანი, ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საყოველთაო-სახალხო კომიტეტის სლივენის განყოფილების თავმჯდომარე ს. ტენევი, ვიდენის საოლქო გაზეთის „ჩერვენო ზნამიას“ მთავარი რედაქტორი ი. ბოჩევი, ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საყოველთაო-სახალხო კომიტეტის ბლოგოევგრადის განყოფილების თავმჯდომარე ბ. ანგელოვა, სამ დღეს იყო სტუმრად რესპუბლიკაში.

ბულგარელი მეგობრები გაეცნენ ვარკეთილის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის წარმოების ორგანიზაციასა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებებს. ამ მეურნეობის მუშაკები საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების კოლექტიური წევრები არიან.

დელეგაციის მეთაურმა ს. ტენევმა ილაპარაკა საქართველოში ყოფნის შთაბეჭდილებებზე. იგი აღტაცებულია ქართველი ერის მიღწევებით რესპუბლიკის

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის შენობაზე ფრიალებს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ალამი. 14 ნოემბერს აქ ცენტრალურ პავილიონში პოლონეთის ქიმიკატების იმპორტისა და ექსპორტის საგარეო სავაჭრო გაერთიანება „ციეხმა“, სრულიად საკავშირო და საქართველოს სსრ საგაჭრო პალატების ხელშეწყობით, გახსნა სიმპოზიუმ-დათვალიერება „მაკნებლებისა და დაკავდებებისაგან მეცნარეთა დაცვის პოლონური ქიმიური საშუალებანი“. მეორე პავილიონში გახსნილია პოლონეთის „პოლენის“ კოსმეტიკური საქონლის გამოფენა.

ამ ბოლო დროს დიდად განვითარდა სახალხო პოლონეთის მეცნარეთა დაცვის საშუალებების მრეწველობა.

პოლონეთის ერთ-ერთი უდიდესი საგარეო სავაჭრო პარტნიორია საბჭოთა კავშირი. მეცნარეთა დაცვის საშუალებების ექსპორტის მნიშვნელოვანი პროცენტი საბჭოთა კავშირზე მოდის. 1967 წელს პოლონეთის მეცნარეთა დაცვის საშუალებების მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში საექსპორტო მიწოდების ღირებულება 1966 წელთან შედარებით ერთიოროად გაიზარდა.

სიმპოზიუმ-დათვალიერების ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს მოაწყონ პოლონელ მეცნიერთა ლექციების ციკლი, კონფერენციები ქართველ სპეციალისტთა მონაწილეობით მავნებლებისა და დაავადებებისაგან მეცნარეთა დაცვის ქიმიური საშუალებების პოიბლემებზე.

დამთვალიერებელთა ყურადღებას უეჭველია მიიპყრობს კოსმეტიკური ნაწარმის გამოფენა. ჩვენმა პოლონელმა მეგობრებმა ჩამოიტანეს ოთმის, კანის მოვლის საშუალებათა მრავალფეროვანი ასორტიმენტი, დეკორაციული კოსმეტიკური ნაწარმი. ამ ნაწარმს ამზადებენ ქარხნები, რომლებიც შედიან საყოფაცხოვრებო ქიმიის მრეწველობის გაერთიანება „პოლენაში“. პოლონურ საშუალებათა ექსპორტი ეითარდება ლეგენდა „პოლონელი ქალების მომხიბლველობის“. საიდუმლოებაა „პოლენის“ კოსმეტიკური საშუალებანი. გამოფენის მუშაობის დღეებში იმუშავებს კოსმეტიკური კაბინეტი.

პირველ დღეს პოლონეთის გამოფენათა ექსპოზიცია დათვალიერა ორი ათასზე მეტმა კაცმა. ამ გამოფენის გახსნის წინ გაიმართა პრეს-კონფერენცია. ჟურნალისტების წინაშე გამოვიდნენ საგარეო სავაჭრო გაერთიანება „ციეხისა“ და ფირმა „პოლენის“ წარმომადგენლები კშიტოფ ბელინსკი და ანდრია მალინა, პოლონელი მეცნიერი დოქტორი ედმუნდ ბაკუნაკი. (საქ-დესი).

ს. ი. მაღლაფერიძე

ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საქართველოს განათლების ამაგდარი მუშაკი, განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების — შემადგენელი პროფესიული კავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი ლუკა იოსების-ძე მაღლაფერიძე.

1954 წლის მარტიდან ლ. მაღლაფერიძე არჩეულ იქნა საქართველოს სსრ განათლების მუშაკთა პროფესიული კავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარედ, ხოლო 1957 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე მუშაობდა განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის კავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარედ.

1954 წელს პროფკავშირთა სრულიად საკავშირო პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს წევრობის კანდიდატად.

იყო პარტიის თბილისის საოლქო კომიტეტის წევრობის კანდიდატი. არჩეული იყო საქართველოს სსრ მეოთხე და მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის წევრად და თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატად.

ლ. მაღლაფერიძე 1954 წლიდან დღემდე იყო პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს წევრი, ხოლო 1967 წლამდე — ამავე საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, სსრ კავშირის განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის უცვლელი წევრი, საქართველოს სსრ პედაგოგიური საზოგადოების ცენტრალური საბჭოს და მისი პრეზიდიუმის წევრი ამ საზოგადოების დაარსების დღიდან, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის წევრი.

ლ. მაღლაფერიძე დაჯილდოებული იყო ორდენებითა და მედლებით.

უაღრესად სპეტაკი ადამიანის, შესანიშნავი მოქალაქის, მგზნებარე მუშაკის სხვენა დაუვიწყარი იქნება ყველა იმათთვის, ვისაც მასთან უმუშავნია და ვინც მას ახლოს იცნობდა.

პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭო; განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფესიული კავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტი; საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო; საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო; საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი; საქართველოს სსრ პედაგოგიური საზოგადოების ცენტრალური საბჭო.

ტრადიცია მტკიცდება

დამთავრდა უნგრეთის საბავშვო მუსიკის კვირეული თბილისში

ეგობრობა და კულტურული ურთიერთობა უნგრელ და ქართველ ხალხებს შორის, რომელიც განსაკუთრებით გაფართოვდა და გამდმკიცდა უკანასკნელ წლებში, ხელს უწყობს ამ ორი ხალხის მრავალფეროვანი კულტურის ურთიერთგაზიარებას. ამ მეგობრობის ახალი ნათელი ფურცელია ახლანდელი „უნგრეთის საბავშვო მუსიკის კვირეული“ თბილისში.

ბავშვთა სამყაროსათვის ღირსეული ნაწარმოებების შექმნა უაღრესად რთული და პასუხსაგები საქმეა. საჭიროა საბავშვო მუსიკა ეროვნულ თანამედროვე ენით და ამავე დროს ემყარებოდეს ფოლკლორს. ფოლკლორი დაუშრეტელი წყაროა კომპოზიტორის ფანტაზიისათვის და მაღალიდეური ნაწარმოების შექმნისათვის. საბავშვო ნაწარმოები უნდა დაიწეროს ემოციურად, დახვეწილი ფორმით, გამოკვეთილი მუსიკალური ენით, ადვილი ტექნიკური რეპერტუარის გამოყენებით და მასალის ლაკონიური, უაღრესად ლოგიკური განვითარებით.

საბავშვო მუსიკას ბევრი ეტანება, მაგრამ ისტორიას შემორჩა შუბანის, მენდელსონის, ჩაიკოვსკის და გრიგის სახელები. ამ კომპოზიტორთა სასელოვანი ტრადიციები განავითარეს და გადაახალისეს გამოჩენილმა უნგრელმა კომპოზიტორებმა ბელა ბარტოკმა და ზოლტან კოდაიმ. ამიტომაც არის წარმოდგენილი ყველაზე მრავალფეროვანი რეპერტუარით ჩვენს მუსიკალურ საბავშვო კვირეულში ეს ორი გამოჩენილი კლასიკოსი.

ბელა ბარტოკის საბავშვო შემოქმედებიდან კვირეულზე შესრულდა: რაფსოდია, ბურლესკა, სლოვაკური ცეკვები, სონატინა, ესკიზები, პიესები, უნგრული ხალხური სიმღერები, „რუმინული საშობაო“, ბაგატელები, ორი ბულგარული ცეკვა, „საღამოს სიმღერა“, „საღამო სოფლად“, კონტრასტები და სხვ. მოვისმინეთ ზოლტან კოდაის „საბავშვო ციკვები“, „ჩვენი მწყემსი“, „ჯოგის მწყემსვა“, „ცეკვა“, პიესები.

უნგრეთის დელეგაცია ოცდახუთი წევრის შემადგენლობით ჩამოვიდა. მათ შორის იყო ორი ცნობილი კომპოზიტორი: მიკალი პაიდუ და რეზეე შუგარი. მიკალი პაიდუ ბუდაპეშტის კონსერვატორიის და უმაღლესი მუსიკალური სკოლის პროფესორია, უნგრეთის კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის წევრი. მას დაწერილი აქვს საორკესტრო სიუიტა, ტრიო სიმებიანი საკრავებისათვის, ოპერა „კატა კადარი“ და სხვა მცირე ფორმის ნაწარმოებები. იგი ზ. კოდაის მოწაფე და მისი ტრადიციების გამგრძელებელია. რეზე